დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ „საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები:

თამილა გრძელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 21 აგვისტოს №1015468 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 160 პროფესიულ სტუდენტამდე (60 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით აპლიკანტების მხრიდან განსაკუთრებით დიდი დაინტერესება. ამჟამად კოლეჯს პროგრამაზე გამოცხადებული აქვს 21 ადგილი და დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს უკვე რეგისტრირებული იყო 60 აპლიკანტი. ამასთან, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით კოლეჯს დამატებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ პრაქტიკის ობიექტთან და 15 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2023 წლის 25 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა 2.2. კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას მისცა 3 განმავითარებელი რეკომენდაცია:

1. **ინდიკატორი 2.2.1.1.-ის ფარგლებში** - სასურველია, პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა მიმდინარე ვიზიტის დროს, ექსპერტთა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში და ხელშეკრულებებს, მხარეთა შეთანხმებით, თან დაერთო პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა. **რეკომენდაცია შესრულებულია**
2. **ინდიკატორი 2.2.1.6.-ის ფარგლებში** - სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწეროს სსსმ პირებისათვის შესაბამისი რესურსების ადაპტირების მეთოდოლოგია. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
3. **ინდიკატორი 2.2.1.7.-ის ფარგლებში** - სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები - დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია პერსონალის განვითარებისათვის მუხლი. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს წინა ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №35 ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 4 ოქტომბრის №01/58
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	160

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქ. №80 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „საექთნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 3 A გარემო და თითოეული აუდიტორია გათვლილია 40 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ორი B გარემო - კომპიუტერული კლასი - ჯამში 40 პროფესიულ სტუდენტზე. AC გარემო 40 პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - განკუთვნილია 40 პროფესიული სტუდენტისათვის. AC გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა A გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის ფიზიკური, შერჩევითი დათვალიერება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში განკუთვნილია 40 პროფესიული სტუდენტისათვის. სასწავლო გარემოს მოდელი 2 B გარემო, რომელშიც განთავსებულია 20-20 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

- პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 11 სამედიცინო კლინიკასთან:

- შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ - 40 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი” 30 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური დახმარების ცენტრი“ 40 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ 40 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „ჯეო ჰოსპიტალი მედცენტრი“ 40 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „მარნეულის ამბულატორია“ 30 პროფესიული სტუდენტზე;
- შპს „ოპტიმალ მედი“ 35 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“ 50 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „მარნეკორი“ 30 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „მარნეულის ამბულატორია“ 30 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს „ავერსის“კლინიკა“ 10 პროფესიულ სტუდენტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ჩამონათვალი, ასევე, მათში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლა. ექსპერტთა რეკომენდაციით, ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულებებში განხორციელდა ცვლილებები და მხარეთა შეთანხმებით მათ დაერთო მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა.
ამ ეტაპზე მოქმედი პროფესიული სტუდენტია 67 .(2021 წლის მიღება-44; 2022 წლის მიღება-23 პროფესიული სტუდენტი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელებაში სულ ჩართულია 50 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 9 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 41 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. მათგან 15 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ხელშეკრულება გაფორმებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნებისათვის. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. ვიზიტის დროს მოხდა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული სწავლის პროცესში, მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა-განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მოხდა მასთან გასაუბრება, რის შედეგადაც, დადგინდა, რომ პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი გინეკოლოგი. და ის არ არის დარგის სპეციალისტი, ამდენად დაწესებულებას მიეწოდა რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, მას პროგრამისათვის ეხელმძღვანელა დარგის სპეციალისტთან - ექთანთან ერთად. დაწესებულებამ ვიზიტის პროცესშივე წარმოადგინა ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელად კვალიფიციური ექთნის დანიშვნის შესახებ, რომელიც ასევე არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ამავე პროგრამაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "საექთნო საქმე", მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის №01/29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.
წინა ვიზიტის შედეგად ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები“. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია მუხლი პერსონალის განვითარებისათვის - **რეკომენდაცია შესრულებულია. ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროგრამის პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

11.09.2023წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: